სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

38876173702117

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N171474296

რეგისტრაციის თარიღი

20.12.2017 წ

ნოტარიუსი: მედეა გვაზავა
მისამართი: ქ. თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. #7.
ტელეფონი: 593373834

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორი ათას ჩვიდმეტი წლის ოც დეკემბერს მე, ნოტარიუს მედეა გვაზავას, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, კ.მარჯანიშვილის #7, მომმართა სს ,,თიბისი ბანკის" (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან სს „თიბისი ბანკის“ შესახებ, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B17129749, 27/11/2017 18:06:08) გენერალური დირექტორის პირველმა მოადგილემ პაატა ღამბაძემ, რომელმაც მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **პაატა ღამბაძემ** (დაბ. 24.10.1970 თბილისში, მცხ. ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. #78, კორ. #3, ბ. #10, პ/ნ #01023000307, ბარათის # 16IA73661, გაც.იუსტიციის სამინისტროს მიერ 07.02.2017) მომმართა. მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. წინამდებარე მინდობილობა წავუკითხე მას და განვუმარტე მისი შინაარსი. მან დაადასტურა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მინდობილობა

ორი ათას ჩვიდმეტი წლის ოც დეკემბერს სს ,,თიბისი ბანკის" (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან სს ,,თიბისი ბანკის“ შესახებ, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B17129749, 27/11/2017 18:06:08) გენერალური დირექტორის პირველმა მოადგილემ **პაატა ღამბაძემ** (დაბ. 24.10.1970 თბილისში, მცხ. ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. #78, კორ. #3, ბ. #10, პ/ნ #01023000307, ბარათის # 16IA73661, გაც.იუსტიციის სამინისტროს მიერ 07.02.2017) **სს ,,თიბისი ბანკის"** საბურთალოს ფილიალის დირექტორს **მიხეილ ჯავახიშვილს** (პ/ნ01024000182), შემდეგში "რწმუნებულს", წინამდებარე მინდობილობით მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილებები:

1. 'რწმუნებული' **მიხეილ ჯავახიშვილი** უფლებამოსილია სს „თიბისი ბანკი"-ს სახელით ხელი მოაწეროს ზემოხსენებული სერვისცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დოკუმენტს, წერილს,ცნობასა და ხელშეკრულებას, მათ შორის, სერვისცენტრის მიერ გაფორმებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,საბანკო კრედიტის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,იპოთეკის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას, იპოთეკისა და ნასყიდობის ერთობლივ ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,გირავნობის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას, უძრავი ნივთის განკარგვის შეზღუდვის შესახებ შეთანხმებას და მის ცვლილებას, დირექტორის/პარტნიორის/აქციონერის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ შეთანხმებას და მის ცვლილებას,იპოთეკის,გირავნობისა და შეზღუდვის გაუქმების შესაბამის დოკუმენტაციას,თავდებობის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,ოვერდრაფტის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,საკრედიტო ბარათის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,საბანკო გარანტიის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას და სხვა სახის ხელშეკრულებებს/შეთანხმებებს,რაც აუცილებელი იქნება სერვისცენტრის შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის.
2. ამ მინდობილობით **მიხეილ ჯავახიშვილს** ენიჭება უფლებამოსილება წარმოადგინოს და დაიცვას **სს „თიბისი ბანკის“** ინტერესები მესამე პირებთან ურთიერთობაში.
3. ეს მინდობილობა ძალაშია ორიათასთვრამეტი წლის სამი იანვრიდან ორიათასთვრამეტი წლის ოცდათერთმეტი დეკემბრის ჩათვლით.
4. მინდობილობა გაცემულია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს მ. გვაზავას სანოტარო არქივში.
5. `რწმუნებულს' უფლება აქვს ამ მინდობილობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებები გადასცეს (გადაანდოს) მის მიერ შერჩეულ პირს.

პაატა ღამბაძე:

საზღაური: 10.00 ლარი (,,სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის #507 დადგენილების 31-ე მუხლის თანახმად) და (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად) დღგ: 1.80 ლარი, სულ: 11.80 ლარი. რეგისტრაციის საფასური: 2.00 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

ნოტარიუსი: მედეა გვაზავა

საქართველო. ნოტარიუსი მედეა გვაზავა * GEORGIA. NOTARY MEDEA GVAZAVA * 01008018186